

კომპიუტერული მონაცემების მოპოვება-გამოყენება

სისხლის სამართლის საქმეებზე

გიორგი ბეგაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

გიორგი ბეგაშვილი

2022 წელი

## აბსტრაქტი

21-ე საუკუნეში სწრაფმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა, კომპიუტერული სისტემების უპრეცედენტო სისწრაფით განვითარებამ და გლობალურმა საკომუნიკაციო ქსელებმა დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა სახელმწიფო ინსტიტუციები, ტექნოლოგიური პროგრესის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულების გამოძიება-სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების კუთხით. მსოფლიოს ბევრ რეგიონში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ და კომუნიკაციის შესაძლებლობამ გააძლიერა დემოკრატია, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა.<sup>1</sup> ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა განავითარა მეცნიერების არაერთი დარგი, თუმცადა საშუალება მისცა ბევრ დამნაშავეს კომპიუტერული სისტემებისა და გლობალური საკომუნიკაციო ქსელის გამოყენებით დაეფარა ან ჩაედინა დანაშაული, მიეღო და გაეცვალა ინფორმაცია არატრადიციული, ტექნოლოგიური გზებით, რამაც თავის თავში გამოიწვია ახალი ტიპის მტკიცებულებები მოპოვების აუცილებლობა, დამნაშავეთა მხილებისა და პასუხისგებაში მიცემისთვის. დამნაშავეთა მიერ კომპიუტერული სისტემებით სარგებლობამ, ხელი შეუწყო საქმეზე უტყუარი, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების მოპოვებას, თუმცა გაართულა მისი მოპოვების შესაძლებლობა. აღნიშნულმა პროგრესმა, აუცილებელი გახადა განხორციელებულიყო საკანონმდებლო-ნორმატიული ცვლილებები, ციფრულ სივრცეში ჩადენილი დანაშაულების აღკვეთის მიზნით.

დღესდღეობით სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება-განხილვისას, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება კომპიუტერულ სისტემაში დაცული მონაცემების გამოყენებას. მაგალითად, პოლიციელის ფორმაზე დამაგრებული სამხრე კამერის გამოყენებით მოპოვებული ვიდეო-აუდიო ჩანაწერი, ე.წ. ქუჩის კამერების ჩანაწერები, მობილური ოპერატორების ინფორმაცია მომსახურე ანძების შესახებ, ინფორმაცია არქივიდან, საჯარო და სამოქალაქო რეესტრიდან, ინფორმაცია პირის მიერ

---

<sup>1</sup> მოსამართლეების ტრენინგი კომპიუტერული დანაშაულის შესახებ, საფრანგეთი, სტრასბურგი, 2010 წ. <https://rm.coe.int/16802fa028>

სახელმწიფო საზღვრის კვეთის თაობაზე და ა.შ.<sup>2</sup> დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის მნიშვნელობაზე მეტყველებს სახელმწიფო ინსპექტორის ანგარიში, რომლის თანახმადაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე სასამართლოსთვის მიმართვის მაჩვენებელი არის გაცილებით მაღალი, ვიდრე ფარული საგამოძიებო მოქმედებების შემთხვევაში. 2021 წელს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილი იქნა 10 994 შუამდგომლობა, 2020 წელს - 9 293, ხოლო 2019 წელს - 8440, რომელთაგან დაკმაყოფილდა 98%.<sup>3</sup>

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: დოქტრინალური, აღწერითი, სისტემური და შეფასების მეთოდები.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, მიმოიხილოს ეროვნული მართლმსაჯულების კონტექსტში ციფრულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სირთულეები, რომელიც ჩამოყალიბდა მრავალწლიანი პრაქტიკის შედეგად. ნაშრომზე მუშაობის პროცესში, განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეგულაცია, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა და სრულყო ის საკანონმდებლო პრობლემატიკა, რაც მრავალი წელი ხელს უშლიდა მართლმსაჯულების ჭეშმარიტი ინტერესების განხორციელებას. ნაშრომის მიზანია, დაგვანახოს კომპიუტერული მონაცემების მოპოვება-გამოყენებასთან დაკავშირებული ეროვნული პრაქტიკის პრობლემატიკა, რომელიც არსებობდა 2022 წლის 24 მაისის საკანონმდებლო ცვლილებებამდე. მიმოიხილოს საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ეხება კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებს და შემოგვთავაზოს მისი სრულყოფის ავტორისეული ხედვა.

ნაშრომში განხილული იქნება პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის არაერთგვაროვანი მიდგომები, ციფრულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებით. შემოთავაზებული იქნება რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი, ეფექტური მექანიზმების

---

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ 27 იანვარი, 2017, №1/1/650,699, 12.პარ. N15

<sup>3</sup> სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის ანგარიში.

დანერგვას და შესაძლებელს გახდის დანაშაულთან ეფექტურ, შედეგზე ორიენტირებულ ბრძოლას.

**ნაშრომის მთავარი საძიებო სიტყვები:** კომპიუტერული მონაცემები, ციფრული მტკიცებულებები, ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვა, კომპიუტერული სისტემა.

## Abstract

The 21st century's rapid technological progress, growth of computer systems in an unprecedented speed and globalized communication networks have introduced a whole lot of challenges to the government institutions when it comes to investigating and prosecuting crimes committed using these modern technologies. In the world's many regions, information and communication availability has enhanced democracy, the protection of human's freedom and rights. It has contributed greatly to building a truly democratic and lawful government. Above mentioned changes have improved a lot of different scientific fields, but at the same time, it has given criminals a chance to exploit computer systems and global communication networks in order to commit and hide a crime. This made it extremely necessary to undergo legislative-normative changes, in order to suppress crimes committed in the digital space. In today's world, when investigating-examining criminal law affairs, it becomes more and more important to use digital data as evidence. Things like: information obtained from bodycam that is attached to a police officer's uniform, so called "street camera recordings", information from cell towers, information from archives, from public and civilian registry, information regarding a person crossing a border, etc... Government inspector's report tells us about the importance of requesting an information, according to which Georgia's criminal law's procedural codex's 136th clause The percentage of appeals to the court considering the procedure of the provided investigative duty is much higher than in the case of confidential investigative proceedings.

In this paper the following methods are used: doctrinal, descriptive, systemic and evaluation methods.

The goal of this paper is to overview complexities connected with digital investigations in the context of national justice, which formed after several years of practice. To show us issues associated with gathering and using digital information prior to 2022-05-24 legislation changes. Also to overview the legislation change, which affects investigations in Paper's main search tags: computer data, dig

**Paper's main search tags:** computer data, digital evidence, requesting information or documentation, computer system

## მადლობა

მადლობა ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, გოგა ხატიაშვილს, გამოჩენილი ყურადღებისთვის, გაწეული დახმარებისთვის, გაცემული რეკომენდაციებისა და მხარდაჭერისთვის.